

სახართველოს სოც.

საბჭ. რესპუბლიკის



მუზათა და გლეხთა მთავრობის

## პანონია და განკარგულებათა პრეზენტი

სახალხო კომისართა საბჭოს და იმონიტორი საბჭოს  
საჯარო მთავრობის გამოცემა

1930 წ. სეպტემბერი 20.

№ 14

ნაზილი პირველი

ზ ი ნ ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა  
საბჭოს დადგენილებანი.

204. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ.

205. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ადმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადგების წესის შესახებ.

206. წანაგრძილი მიყენებული ზარალის გამო აღმრულ დავთა განხილვის წესის შესახებ.

207. აღგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება აღგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ.

208. საქონტინო, საოჯახო და სამუშავეო კანონთა კოდექსის 122 მუხლის შენიშვნის შესების შესახებ.

209. სამოქალაქ სამართლის კოდექსის 366<sup>1</sup> მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

210. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ აღგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული 1929 წლის სექტემბრის 2-ის დადგენილების შეცვლისა და შესების შესახებ.

211. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 183<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

212. შრომა-გასწორების კოდექსის 42, 43 და 54 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

213. სამოქალაქ სამართლის საპროცესო კოდექსის 30 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

214. სამოქალაქ სამართლის საპროცესო კოდექსის 302 მუხლის შეცვლისა და 288<sup>1</sup> მუხლის გაუქმების შესახებ.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.**

215. ახალწევეულთა შეკრებილებისა და კავკასიის წითელდროშიანი არმიის ტერიტორია-ლური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის საერთო შეკრებილების ორგანიზაციისა და ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ.

216. 1930 წლის საბამბე კამპანიის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

217. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წ. ერთანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე 1930 წლის მარტის 16-ის თარიღით გამოცემული დადგენილებისათვის 51<sup>1</sup> და 84<sup>1</sup> მუხლების დამატების შესახებ.

218. საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეორგანიზაციის შესახებ.

219. „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების 25 მუხლის შეცვლის შესახებ.

220. „დამატებითი საცხოვრებელი სიერცის უზლების თაობაზე“ 1929 წ. დეკომბრის 3-ის თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ პუნ. და 4 მუხლის შეცვლის შესახებ.

221. პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს გამგებლობაში მყოფ საწარმოთათვის და დედობისა და ჩილონგის განყოფილებათა სოციალური დაწმარების ორგანიზაციებისათვის საგადასახადო შეღაუგების მინიჭების შესახებ.

222. „მურიმელ მოსახლეობაში წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის თაობაზე“ 1929 წ. ოქტომბრის 11-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

223. გვარისა და სახელის გამოცვლის შესახებ.

224. 1930 წ. საშემოდგომო სასოფლო-სამეურნო კამპანიის გეგმის შესახებ.

## სიცირკულარი კლასიკურებელი კომისიის და სა- ხალხო კომისართა საგარეო დადგენილებაზე.

### 204. დადგენილება ც. პ. პ. და ს. პ. ს.

საქართველოს ხელ წყალთა მეურნეობის ხამართველობის ხაგალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილებით დამტკიცებული ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამართველოს ორგანოების დებულების მე-VIII კარის მე-7 მუხლის განსავითარებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-ი, მუხ. 203) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. მაისის 10-ის დადგენილების თანახმად (ოქმი № 24, § 10), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

1. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამართველოს გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი, რითაც გაითვალისწინება იმ პირთა პასუხისმგებლობა აღმინისტრატორული წესით, ვინც დაარღვევს წყალსარგებლობის წესებს და წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათ დამზარე გამართულობათა დაცვის წესს.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის სფეროში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამსართველოს მიერიქოს სახალხო კომისარიატებთან გათანასწორებულ ცენტრალურ დაწესებულებათა უფლებანი (სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის აღმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების 1-ლი მუხ.—კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 100; 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 92; 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 145; 23 №-ი, მუხ. 288; 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 169).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის

თანამდებობის დრ. აღმასრ. ს. ჯულელი.

საქართველოს სსრ სახალო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის მდივნის

თანამდებობის დრ. აღმასრ. თ. ულენტი.

1930 წ. ივნისის 9.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 198 №-ში 1930 წ. აგვისტოს 24.

## 205. დადგენილება ც. პ. ტ. და ს. პ. ს.

ხისხლის სამართლის კოდექსის თანახმად აღმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის აღმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აღმინისტრატიულ გადასახდელს ისეთი ქმედობისათვის, რაც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დევნილ უნდა იქნეს აღმინისტრატიული წესით, გადასწყვეტს, —უკეთ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებში სხვა რამ არ არის აღნიშნული, —საოლქო ან სამაზრო სააღმინისტრაციო განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც სხეთი განყოფილება არ არსებობს, —სათანადო მილიციის უფროსი, არასაოლქო და არასამაზრო ქალაქის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი კუთნილებისამებრ, იმ წესით, რაც განსაზღვრულია სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის აღმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულებით (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი,

მუხ. 100; 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 92; 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 145; 23 №-ი,  
მუხ. 288; 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 169).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა  
და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 17-ის  
თარიღისა და 39 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სისხლის  
საქართლის კოდექსის თანახმად აღმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედო-  
ბათათვის გადასახდელის დადების შესახებ (კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ.  
51; 1927 წ. მე-10 №-ი, მუხ. 94) გაუქმდებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის თაგვეჯდომარის  
თანამდებობის დრ. აღმასრ. ს. ჭილელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თაგვეჯდომარის მოადგ. გ. შგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის მდივნის  
თანამდებობის დრ. აღმასრ. თ. ულენტია.

1930 წ. ივნისის 9.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომიუნისტის“ 198 №-ზი 1930 წ. აგვისტოს 24.

## 206. დადგენილება ც. ა. კ. და ს. პ. ს.

წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის  
შესახებ.

სოფლის მეურნეობისათვის წანახედით მიყენებული ზარალის შესახებ აღძ-  
რულ დავათა სწრაფი და სწორე გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად სრულიად  
საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ  
სახალხო კომისართა საბჭო ადგენნ:

1. საქონლის მიშებით ნაოცისა, ბოსტნისა და სხვ. წახდენის ფაქტის  
გამორჩევას და მიყენებული ზარალის რაოდენობის განსაზღვრას, დაინტერე-  
სებულ პირთა განცხადებით, აწარმოებენ განსაკუთრებული კომისიები, რომელ-  
ნიც მოეწყობიან თვითეულ სოფელში და აგრეთვე თვითეულ სარაიონო და  
საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტან.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისიები მოეწყობიან თაგვეჯდომარისა, ორი  
წევრისა და 3-დან 5-მდე კანდიდატის შედეგნილობით, რომელთაც ერთის წლის  
ვადით დანიშნავს: ა) სასოფლო კომისიაში—სასოფლო საბჭო საბჭოს წევრთა  
რიცხვიდან; ბ) სარაიონო კომისიაში—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი  
სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ან კანდიდატთა რიცხვიდან;

ვ) საოლქო (სამაზრო) კომისიაში — საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტი საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ან კანდიდატთა რიცხვიდან.

3. საოლქო (სამაზრო) კომისიის გამგებლობის საგანს შედგენს გამოარკვიოს წანახედის ფაქტი და განსაზღვროს ისეთი წანახედით გამოწვეული ზიანის რაოდენობა, რასაც მასიური ხასიათი აქვს და რაც მიუყენებია სხვა რაიონის შედგენილობაში შემავალი სოფლის მცხოვრებთა საქონელს.

სარაიონო კომისიის გამგებლობის საგანია — გამოარკვიოს წანახედის ფაქტი და განსაზღვროს ისეთი წანახედით გამოწვეული ზარალი, რასაც მასიური ხასიათი აქვს და რაც მიუყენებია სხვა, ხოლო ამავე რაიონის შედგენილობაში შემავალი, სოფლის მცხოვრებთა საქონელს.

სასოფლო კომისიის გამგებლობის საგანია — დაადასტუროს წანახედის ფაქტი და შეაფასოს წანახედით მიყენებული ზიანი ყველა შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც საოლქო (სამაზრო) და სარაიონო კომისიების კომპეტენციას მიეკუთვნება.

**შენიშვნა.** უკეთუ მასიური ხასიათის წანახედი მიუყენებია სხვა ოლქის (მაზრის) საქონელს საზაფხულო საძოვარზე გადარეკვისა ან იქიდან უკანვე გაღმორეკვის დროს ან და საზაფხულო საძოვარზე ყოფნის დროს, წანახედის ფაქტს გამოარკვეს და მიყენებული ზარალის რაოდენობას განსაზღვრავს. სათანადო საიალალო კომიტეტი.

4. სათანადო კომისია (საიალალო კომიტეტი) წანახედის ფაქტის გამორკვევისა და წანახედით მიყენებული ზარალის რაოდენობის განსაზღვრის დროს შედგენს ოქმს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იყოს: ოქმის შედგენის დრო და აღვილი, კომისიის (საიალალო კომიტეტის) შედგენილობა, წახდენილის აღწერა, წახდენილის რაოდენობა და ლირებულობა, მიყენებული ზიანის საერთო ოდენობა და ვისია საქონელი, რომელსაც წანახედი მიუყენებია.

5. უკეთუ კომისიის თავმჯდომარე ან წევრი დაინტერესებულია წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღმორეული საქმის შედეგით, იგი, მისიერ განცხადებით ან დაინტერესებულ პირთა განცხადებით, ჩამოცილებულ უნდა იქნეს კომისიაში მონაწილეობისაგან იმ ორგანოს მიერ, რომელმაც იგი დანიშნა. ამ შემთხვევაში კომისიის შედგენილობა შეიისება კანდიდატთაგან.

6. საოლქო (სამაზრო) და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს დაინტერესებულ პირთა საჩივრის მიხედვით შეუძლიანთ შეამოწმონ, თუ რამდენად სწორეა სათანადო კომისიის მოქმედება.

**შენიშვნა.** საიალალო კომიტეტის მოქმედების სისტორე შეიძლება შემოწმებულ იქნეს იმ საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომლის ხელმძღვანელობასა და დირექტორებსაც იგი ემორჩილება („საიალალო კომიტეტის მოწყობის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკ. ცენტრ აღმასრ. კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ის დადგენილების მე-7 მუხლი; ა/ქსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 42).

7. კომისიის მიერ შედგენილი ოქმი განცემადება ორივე მხარეს და, უკეთუ საქმე მორიგებით გათავდა ან მხარენი შეთანხმდნენ ზარალის ანაზღაურების საკითხზე, ამ შეთანხმებას კომისია შეიტანს ოქმში, რომელსაც მხარენი ხელს მოაწერება.

მორიგების ოქმის ასლს, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ან სასოფლო საბჭოს მიერ შემოწმებულს, აქვს სააღსრულებო ფურცელის ძალა.

8. უკეთუ მორიგება და შეთანხმება არ მოხდა, ყოველი თანხის სარჩელი წანახედით მიყენებული ზარალის ანაზღაურების გამო, გარდა 15 მანეთზე არა უმეტესი თანხის სარჩელისა, შეიტანება იმ ადგილის სახალხო სასამართლოში, სადაც წანახედი მოხდა, და განიხილება სახალხო მოსამართლის მიერ ერთ-პიროვნად.

9. საქმე წანახედით მიყენებული 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გამო განიხილება სასოფლო საბჭოს მიერ ქვემომდევნო წესების დაცვით.

10. საქმის განხილვა მოხდება საჯაროდ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისა და ორი წევრის შედგენილობით და მხარეების დაბარებით.

11. უკეთუ საკრებულოს თავმჯდომარე ან წევრი დაინტერესებულია საქმის დამთავრების შედეგით ან მათ განსაკუთრებული რამ ურთიერთობა აქვთ მხარეებთან, ისინი ჩამოცილებულ უნდა იქნენ ამ საქმის გარჩევაში მონაწილეობისაგან, როგორც დაინტერესებულ პირთა განცხადებით, ისე საკუთარი განცხადებითაც, და მათ მაგირ დაინიშნებიან სასოფლო საბჭოს სხვა წევრები.

12. სასოფლო საბჭოს დადგენილება განხილულ საქმეზე გამოიტანება ხმის უმეტესობით და შესდგება წერილობით; დადგენილებას ხელს მოაწერს საკრებულოს შედგენილობა, რომელმაც საქმე განიხილა.

13. სასოფლო საბჭოს დადგენილება საბოლოოა და იგი შეიძლება გამო ნაკლისს შემთხვევაში გადასინჯულ იქნეს ზედამხედველობის წესით სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ერთი თვის განმავლობაში დადგენილების გამოტანის მომენტიდან; ამასთანავე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს შეაჩეროს დადგენილების აღსრულება, ვიდრე საქმე ზედამგედველობის წესით გადაისინჯებოდეს.

14. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, უკეთუ იგი სასოფლო საბჭოს დადგენილებას არასწორედ სცნობს, შესცვლის ამ დადგენილებას ან გააუქმებს და დაუბრუქებს მას სასოფლო საბჭოს, რათა საქმე ხელახლა იქნეს განხილული სხვა შედგენილობით.

15. უკეთუ წანახედის საქმის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ დარღვეულია სავალდებულო დადგენილება წანახედის შესახებ ან გამოირკვა, რომ წანახედი განხრას მოხდა, სასოფლო საბჭო აღმრავს სათანადო ორგანოს წინაშე საკითხს დამნაშავე პირთა აღმინისტრატიული ან სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, ან და, სავალდებულო დადგენილებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თითონ დაადებს დამაზარებელს გადასხდელს (სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და მათი დარღვევისათვის აღმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების 22 და 23 მუხლები—კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 169 და სრულიად საქართველოს

ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭ-  
კოს 1930 წ. აპრილის 6-ის დადგენილება სასოფლო საბჭოების პრეზიდულების  
მიერ სატყეო წესების დარღვევისა და განზრახი ჭანახედის საქმეთა განხილვის  
წესის შესახებ—ერ. კრ. 1930 წ. მგ-10 №-ი, მფ. 114).

16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 5-ის დადგენილება „საგლეხო მეურნეობისათვის მიყენებული წანახედის ფაქტის გამორკვევისა და ამ წანახედით გამოშველი ზარალის რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 38) და დებულება „წანახედით მიყენებული, 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გამო აღძრულ საქმეთა სასოფლო საბორების მიერ განხილვის წესის შესახებ“, რომელი დებულებაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ნოემბრის 11-ის დადგენილებით (კან. კრ. 1929 წ. 23 №-ი, მუხ. 281), გაუქმდებულ იქნება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის  
თანამდებობის ღრ. აღმასრ. ხ. ჯულელ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლი შვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ომას-  
რულებელი კომიტეტის მდივნის  
თანამდებობის დრ. ომასრ. თ. შევრტი.

1930 අ. ගුණිතය 9.  
උපාලිතය—සාසාධා.

207. ଲୋକାନ୍ତର ପାଇଁ ବ୍ୟାପାର କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି ।

ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნის დებულების დამტკიცების შესახებ.

სარულიად საქართველოს ცენტრალური ომბასრულებელი კომიტეტი და  
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დარტული დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის  
თანამდებობის თარ. აღმასრ. ხ. ჯულია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოივა. 2. მთალობლო შევიტო.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ძამან-  
რულებელი კომიტეტის მდივნის  
თანამდებობის დრ. ამასრ. თ. ლენტიშვ.

1930 ජූලියේ 9.  
උපුන්ලිසි—සාසාක්ලු

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის პერსონალური პენსიების დაწილების შესახებ.

### კ ა რ ი I.

იმ პირთა შესახებ, რომელთაც უნდა დაენიშნოს პერსონალური პენსია ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის.

1. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსია დაენიშნება იმ პირს, რომელზედაც არ ვრცელდება პერსონალური პენსიების შესახებ 1929 წლის იანვრის 16-ის თარიღით გამოცემული დებულების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 26) მოქმედება, ხოლო რომელსაც მიუძლივის ადგილობრივი მნიშვნელობის თვალსაჩინო დამსახურება რევოლუციონური, საზოგადოებრივი და პროფესიონალური მოღვაწეობის სფეროში.

**შენიშვნა.** ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურების მქონე პირად ჩაითვლება: გამოჩენილი რევოლუციონური მოღვაწე; ის პირი, ვისაც რევოლუციონურ ეპოქაში ეჭირა პასუხსავები პარტიული, რევოლუციონური და სამხედრო ადგილი; გამოჩენილი საზოგადო მომუშავე, რომელმაც თავისი მუშაობით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდას და განმტკიცებას; მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტეხნიკის დარგის მომუშავე, რომელმაც თავისი შრომით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა პროლეტარული კულტურის სათანადო დარგში; ის პირი, რომელმაც თავისი პროფესიონალური მოღვაწეობით თვალსაჩინოდ გააუმჯობესა სახელმწიფო აპარატი ან საბჭოთა მშენებლობის სამეურნეო, ექონომიკური და კულტურული ცხოვრების ესა თუ ის დარგი; ის პირი, რომელმაც თავისი მოღვაწეობისათვის დაიმსახურა მაღლობა და ჯილდო და საერთოდ ის პირი, რომელმაც გამოჩინა თავდადებულობა და ერთგულობა საბჭოთა ხელისუფლებისა და თავისი პროფესიონალური მოვალეობისადმი.

2. ადგილობრივი პერსონალური პენსია მიეცემათ ამა დებულების პირები მუხლში აღნიშნულ იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ინვალიდობის 1,2 და 3 ჯგუფს.

3. უკეთე 1-ლ მუხლში აღნიშნული ესა თუ ის პირი გარდაიცვალა ან უგზო-უკვლებდ დაიკარგა, პერსონალური პენსია დაენიშნება მისი ოჯახის შრომის უნარმოკლებებულ შემდევ წევრებს, რომელნიც ამ პირის გარდაცვალების წამს მის ჩენაზე იმყოფებოდნენ: ა) შეიღს და აგრეთვე მმასა და დას 18 წლის ასაკმდე; ბ) შრომის უნარმოკლებებულ შშობლებსა და მეუღლეს, რომელნიც ეკუთვნიან ინვალიდობის პირები სამს ჯგუფს ან რომელთაც შეუსრულდათ: მამაკაცს—55 წლიწადი და დედაკაცს—50 წლიწადი, და აგრეთვე გარდაცვალებული პენსიონერის შრომისუნარიან მეუღლეს, რომელიც უვლის 8 წლის ასაკმდე

მიუღწეველ მის შეილებს; გ) სრულწლოვან შვილს, ძმასა და დას, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი 18 წლის შესრულებამდე.

**შენიშვნა.** მოსწავლე ბავშვს, თვითეულ ცალქე შემთხვევაში კომისიის განსაკუთრებული დადგენილებით, პენსიის მიღების ვადა შეიძლება განეგრძის სასწავლებლის გათავებამდე, ხოლო არა მეტი ხნით, ვიდრე 25 წლის შესრულებამდე.

4. პერსონალური პენსია მიეცემათ: ა) 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ და ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრთ—სიკედილამდე და ბ) დანარჩენთ—ამა დადგენილების შე-3 მუხლში და მის შენიშვნაში აღნიშნული პირობების დადგომამდე.

### ვარი II.

**ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიების ნორმები.**

5. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიის რაოდენობა განისაზღვრება პირების ჯგუფის ინვალიდობისათვის მიუუთონებული სამხედრო სამსახურის ინვალიდის ჩვეულებრივი პენსიის ერთნახევარი რაოდენობიდან ამა თუ იმ ზოლის საშუალო სამუშაო ხელფასამდე.

6. ადგილობრივი მნიშვნელობის პენსიის მიღების უფლების მქონე პირის გარდაცალების ანუ უგზო-უკვლოდ დაკარგვის დროს, გარდაცალებულის ოჯახს (მის რჩენაზე მყოფ შრომის უნარმოკლებულ და არასრულწლოვან წევრებს) მიეცემათ: უკეთუ ოჯახში ერთი შრომის უნარმოკლებული წევრია—1/2, უკეთუ ორი შრომის უნარმოკლებული წევრია—2/3 და უკეთუ სამი და მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია—სრული პენსია, რასაც მარჩენალი იღებდა ან რაც მას შეეძლო მიელო.

### ვარი III.

**ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესი.**

7. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსია დაენიშნება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირებს, ხოლო მათი გარდაცალების ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემდეგ—მათი ოჯახის წევრებს, ვისაც აქვს პენსიის მიღების უფლება, იმ ადგილობრივი დაწესებულებისა, პარტიული ან პროფესიონალური და სხვა სახოვაძლებრივი ორგანიზაციის შუამდგომლობით, რომლის გამგებლობასაც მიეკუთვნება აღნიშნულ პირთა მოღვაწეობა. შუამდგომლობის აღძერის დროს აღნიშნული ადგილობრივი ორგანოები წარადგენნ დაწევრილებითს დახასიათებას საქმის გამო იმ სრული ცნობებითურთ, რაც აუცილებელია პენსიის დასანიშნავად საჭირო გარემოებათა ყოველშერივი გამორკვევისათვის.

8. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ შემოსული განცხადებების განსახილევად აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტა-

ნის ავტონომიური სს-რის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან და აგრეთვე საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან მოეწყობა საუწყებათაშორისო კომისიები იმ შედგენილობით, რასაც საჭიროდ სცნობს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი. აღნიშნული კომისიების დადგენილებას პენსიის დანიშნვისა ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ დამტკიცებს სითანადო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

9. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალურ პენსიებს გასცემენ იმ ადგილის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, სადაც პენსიონერი სცხოვრობს, ადგილობრივი ბიუჯეტის სახარჯთაღრიცხო ასიგნვიდან (ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების დებულების შე-15 მუხლის „ი“ პუნქტი) და აგრეთვე სოციალური დაზღვევის ორგანოებისაგან შემოსული თანხის იმ ნაწილიდან, რაც მოდის აღნიშნულ პენსიონერთაგან დაზღვეული მუშა-პენსიონერების უზრუნველყოფაზე სოციალური დაზღვევის ნორმების მიხედვით.

10. ადგილობრივი პერსონალური პენსიის დანიშნვის დროს დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს—რა დროიდან და რა რაოდენობით ინიშნება ეს პენსია, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული პენსია ენიშნებათ თვალსაჩინო დამახურების მქონე პირთა ოჯახებს, უნდა აღნიშნოს ისიც, თუ რამდენიმევრისათვის ენიშნებათ პენსია ამ ოჯახებს.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 181 №-ში 1930 წ. აგვისტოს 3.

## 208. დადგენილება ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 122 მუხლის შენიშვნის შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის (საქართველოს სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 56) 122 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

**შენიშვნა.** სახელისა და გვარის გამოცვლის ჩასაწერი დავთორების წარმოებს საქალაქო საბჭოებში და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებში.

სახელისა და გვარის გამოცვლის წესს ამჟარებს საქართველოს სსრ სახალ-  
ხო კომისართა საბჭო.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ომის-  
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის  
თანამდებობის ლრ. ომისარ. ს. ჯულეალი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგ. პ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ომის-  
რულებელი კომიტეტის მდივნის  
თანამდებობის ლრ. ომისრ. თ. ყლენტი.

1930 අ. ගුණිතය 9.  
උග්‍රීයාව—සාසාක්ෂි.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 182 №-ში 1930 წ. აგვისტოს 6.

209. ଭାଲ୍ମେଖିନୀଙ୍କରୁ ଓ. ନ. ପ. ଭାଲ୍ମେଖିନୀଙ୍କରୁ

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 366<sup>ღ</sup> მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სააგვიონ საზოგადოებათა დებულების (სსრკ-ის კან. კრ. 1929 წ. 66 №-ი, მუხ. 616) 115 მუხლის თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენ:

სამიერალაქო სამართლის კოდექსის 366<sup>69</sup> მუხლი (კან. კ. 1929 წ. მე-4 №-ი, მუხ. 37) 366<sup>69</sup> მუხლა მიღებულ იქნეს შემთგვი რედაქციით:

„366<sup>o</sup>. კველა ცნობილი პრენტეზია, მისი ვალის მიუხედავად, უნდა დაითაროს სალიკიტაციო ვალის განმეოღობაში.

ქრედიტორების დაქმაყოფილებას აწარმოებს კომისია პრენტეზიათა დაქმაყოფილების რიგობისათვის, კანონით დაწესებული საერთო შესების დაცვით.

იმ ფარგლებში, რაც საჭიროა პრეტენზიათა დაქმაყოფილებისათვის დაწესებული რიგობის განსახორციელებლად, სალიკვიდაციო კომისიის უფლება აქვს შესცვალოს ხოლმე სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების ვალდებულებით გასაცემი თანხების გადახდის ვადა საერთო სალიკვიდაციო ვადის ფარგლებში (მუხ. 366<sup>58</sup>); თანაც იგი არ იხდის პირგაუტეხელობის ჯარიმას, ხოლო იხდის ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბან-

კის სადისკონტო პროცენტის რაოდენობით. ამისთვის პირველი კატეგორიის პრეტენზიებისათვის ვადის გაგრძელება არ შეიძლება“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის  
თანამდებობის დრ. აღმასრ. ხ. ჯულელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის მდივნის  
თანამდებობის დრ. აღმასრ. თ. ულენტი.

1930 წ. ივნისის 9.  
ტყილისი—სასახლე.

## 210. დადგენილება ც. ა. ტ. და ს. ძ. ს.

საქართველოს სსრ-ის ქალაქება და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგი-  
ლებში ხაცხოვრებელი ხადგომების ქირის თაობაზე გამოცემული 1929 წლის  
სექტემბრის 2-ის დადგენილების შეცვლისა და შეცხების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სა-  
ქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ-ის ქალაქება და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგი-  
ლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ გამოცემული სრულიად სა-  
ქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ  
სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 2-ის დადგენილებაში (კან.  
კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202; 23 №-ი, მუხ. 286; 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ.  
15; მე-4 №-ი, მუხ. 47; მე-10 №-ი, მუხ. 121) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლი-  
ლებანი და დამატებანი:

1. აღნიშნული დადგენილების მე-8 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რე-  
დაქციით:

„8. იმ პირისათვის, რომელიც იღებს პენსიას თუ დახმარებას სოციალური  
დაზღვევისა ან სოციალური უზრუნველყოფის წესით არა უმეტეს 20 მანეთისა  
თვეში, პროფესიონალური კავშირის უმუშევრი წევრისათვის ან იმისათვის, ვი-  
საც უფლება აქვს დახმარება მიიღოს უმუშევრობის გამო, ვადიანი (განუწყვე-  
ტელი) სამსახურის მერიითა და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხე-  
დრო მსახურის ოჯახისათვის, უკეთო ოჯახის შედგენილობაში არ არის დამოუ-  
კიდებელი მუდმივი საშევარის მქონე პირი, და აგრეთვე სახელმწიფო სასწავ-  
ლებლის მოსწავლისათვის, რომელიც იღებს სახელმწიფო სტიპენდიას ან განთა-  
ვისუფლებულია სწავლის ფულისაგან, —ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება ამა  
დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტში გათვალისწინებული ტარიფით“.

II. მე-8 მუხლის მე-2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 2. ამა მუხლში აღნიშნული სამხედრო მსახურთა ოჯახი, 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ორგანოების დადგენილებით, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მის მიერ საბინაო-სასანიტარო ნორმის (მუხ. 20) ფარგალში დაჭრილი საცხოვრებლად ვარგისი სივრცის სასყიდლისაგან“

III. მე-17 მუხლის მე-2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 2. საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის, სამხედრო მსახურისათვის და ვადაზევითი სამსახურის მერიეთა და უმტროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურისათვის საბინაო ქირა გამოიგარიშება ძირითადი ჯამაგირის მიხედვით, ხოლო რეზერვში მყოფი სამხედრო მსახურისათვის — იმ ძირითადი ჯამაგირის თანხს მიხედვით, რასაც ეს სამხედრო მსახური საკადრო სამსახურში იღებდა რეზერვში ჩარიცხვის წინ.“

IV. მე-17 მუხლის მე-3 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 3. საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახური, უკეთუ იგი გაგზავნილია სამხედრო სასწავლებელში კურსის გასავლელად ან და იმყოფება საკარიოდ, ხანგრძლივ მიკლინებაში ან სასტაურიონოდ, ქირას საცხოვრებელი სადგომისათვის, რაც მას უკირავს როგორც მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ისე დროებით სამყოფელ ადგილას, გადაიხდის მისათვის დაწესებული საბინაო ქირის 50%-ის რაოდენობით, უკეთუ დროებით სამყოფელ ადგილას სადგომი მას უსასყიდლოდ არა აქვს მიცემული.“

V. მე-17 მუხლის მე-4 შენიშვნა (კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 121) გაუქმდებულ იქნეს.

VI. აღნიშნულ დადგენილებას დაემატოს 21<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა: „21<sup>1</sup>. სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-ის ან საქართველოს სსრ-ის ერთი ან რამდენიმე ორდენით დაჯილდოებული პირი ზედმეტი საცხოვრებელი სივრცისათვის გადაიხდის შედავთადი 100%-დან 50%-მდე.“

VII. 23 მუხლს დაემატოს მე-3 ნაშილი შემდეგი შინაარსისა:

„სსრ კავშირისა, ა/კ სფსრ ან საქართველოს სსრ-ის ერთი ან რამდენიმე ორდენით დაჯილდოებული პირი ზედმეტი საცხოვრებელი სივრცისათვის ქირას გადაიხდის ორდინარული რაოდენობით.“

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის

თანამდებობის დრ. აღმასრ. ხ. ჯულელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის მდივნის

თანამდებობის დრ. აღმასრ. თ. ულენტი.

## 211. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 183<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კნ. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 183<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„183<sup>1</sup>. ისეთი ჩეკის გაცემა, რაც, ჩეკის გამცემის წინასწარი შეცნობით, განაღლდებულ არ უნდა იქნეს გადამზღვდელის მიერ, იგრეთვე ჩეკის გამცემის მიერ, არაპატივსადები მიზეზით, ჩეკის გაუქმება ან სხვა რამ ღონისძიების ხმარება, რათა ჩეკის პატრონმა ვერ მიიღოს ჩეკში აღნიშნული თანხა, ან და ჩეკის პატრონის მიერ ისეთი ჩეკის სხვისთვის გადაცემა, რაც გადამცემის წინასწარი შეცნობით, განაღლდებულ არ უნდა იქნეს გადამზღვდელის მიერ, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე;

იგივე მოქმედება, უკეთუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებას ზარალი მიაყენა,—

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის

თანამდებობის დრ. აღმასრ. ს. ჯულელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის მდივნის თანამდე-

ბობის დრ. აღმასრ. თ. ულენტი.

1930 წ. ივლისის 9.

ტფილისი—სასახლე.

## 212. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

შრომა-გასწორების კოდექსის 42, 43 და 54 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომა-გასწორების კოდექსის 42,43 და 54 მუხლები (კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 149) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„42. დაუპატიმრებლად იძულებით მუშაობის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის სააღმინისტრაციო განყოფილებასთან (ხოლო იქ, სადაც სააღმინისტრაციო განყოფილება მოწყობილი არ არის—მიღლივის სათანადო სამსართველოსთან) არსებობს იძულებითი მუშაობის საოლქო (სამაზრო) ბიურო, რომელშიაც შედიან სააღმინისტრაციო განყოფილების გამგე (მიღლივის უფროსი), შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი და საპატიმრო ადგილის უფროსი; ბიურო მოქმედობს საპატიმრო ადგილების სამსართველოს ხელმძღვანელობით“.

„43. საოლქო (სამაზრო) ცენტრის გარეშე დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის იმ პუნქტში, სადაც საპატიმრო ადგილია, შეიძლება მოეწყოს იძულებითი მუშაობის ბიუროს განყოფილება საპატიმრო ადგილების სამსართველოს მიერ განსაზღვრული შედგენილობით; განყოფილება მოქმედობს ზემდგომი ცენტრის იძულებითი მუშაობის ბიუროს დირექტორების თანახმად“.

„54. იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა ხელფასის ანარიცხის სახით შემოსული თანხები შეადგენს იმ ორგანოთა სპეციალურ ფონდს, რომელიც განაგებენ იძულებითი მუშაობის საქმეს.

აღნიშნული ფონდის გამგებლობა დაეკისრება საპატიმრო ადგილების სამსართველოს.

ამა მუხლში აღნიშნული ფონდი მოხმარდება იძულებითი მუშაობის განხორციელების საქმეს და იძულებითი მუშაობა-მისჯილ პირთა შრომის გამოსაყენებლად საჭირო სახელოსნოთა და საწარმოთა მოწყობას სამეურნეო ანგარიშზე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თან. დრ. აღმასრ. ს. ჭველელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
 თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი  
 კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმასრ. თ. ულენტი.

## 213. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 30 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 30 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. წანახდით მიყენებული ზარალის სარჩელი აღმისამართი იმ ქონების აღგიღმდებარეობის მიხედვით, რომელსაც მიყენა ზარალი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თან. დრ. ოღმასრ. ს. ჯულელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი  
კომიტეტის მდიგნის თან. დრ. ოღმასრ. თ. ულენტი.

1930 წ. ივნისის 9.  
ტფილისი—სასახლე.

## 214. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 302 მუხლის შეცვლისა და  
288<sup>1</sup> მუხლის გაუქმების შესახებ.

„სასაქონლო ბირუებისა და მათი საფონდო განყოფილებების გაუქმების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 6-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 120) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1 №-ი მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენებ:

1. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 302 მუხლი კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 76) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„302. შეკრული ქონება გაყიდულ უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობით“.  
ამ მუხლის შენიშვნა გაუქმდებულ იქნეს.

2. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 288<sup>1</sup> მუხლი (კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 76) გაუქმდებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თან. დრ. აღმსრ. ს. ჯულელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდიგნის თან. დრ. აღმსრ. თ. ჟლენტი.

1930 წ. ივნისის 9.  
ტფილისი—სახლე.

---

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

### 215. დადგენილება ს. კ. ს.

ახალწევულთა შეკრებილებისა და კავკასიის წითელდროშიანი არმიის ცენტრორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის საერთო შეკრებილების ორგანიზაციისა და ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ.

„ახალწევულთა შეკრებილებისა და კავკასიის წითელდროშიანი არმიის ცენტრორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის საერთო შეკრებილების ორგანიზაციისა და ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 3-ის დადგენილების (ა/ქსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 119) შესასრულებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო იდგენს:

1. დაევალოს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ფართოდ გაშალონ და ყოველმხრით უზრუნველჰყონ მშრომელთა ფართო მასებში და კავკასიის წითელდროშიანი არმიის ცვალებად შედგენილობაში ან-სნა-განმარტებით მუშაობა, განსაკუთრებით სოფლად, იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა, რა მიზანი და რა ამოცანა აქვს ტერიტორიალური ნაწილების მომავალ შეკრებილებას, რათა ამ შეკრებილების გარშემო შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი; ასეთი მუშაობისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს საბჭოთა პლენუმები, გლეხთა კრებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებები, ცვალებადი შედგენილობის კონფერენციები და კრებები და აგრეთვე ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვა;

ბ) შემოწმონ ცვალებადი შედგენილობის სიები და თავის დროზე მიაწოდონ ტერიტორიალური ნაწილების კომანდობას ცნობები იმ პირთა თაობაზე, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება და რომელიც ამა თუ იმ მიხეზით ჯერ კიდევ ირიცხებიან ტერიტორიალური ნაწილების სიებში;

გ) განახორციელონ ცვალებადი შედგენილობის ორგანიზებული გამოცხადება, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარების თანხლებით, სარაიონო და საოლქო (სამაზრო) ცენტრებში და მთაწყონ ცვალებადელთა გაცილება კარგობაში.

2. პასუხისმგებლობა მოსახლეობისათვის თავის დროზე შეკრებილებაში გაწვევის შეუტყობინებლობისათვის დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარებებს და მილიციის ორგანოებს; ამას-თანავე თავის დროზე შეუტყობინებლობაში დამნაშავე პირნი პასუხს აგებენ როგორც ხელისუფლების უმოქმედობისათვის, უკეთუ ეს გამოიწვევს ცვალებადი შედგენილობის თავმდგომთა და მერიგეთა დაგვიანებას და გამოუცხადებლობას საერთო შეკრებილებაში.

3. დაევალოს ყველა დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელო თავის დროზე გაანთავისუფლონ მუშაობისაგან შეკრებილებაში გაწვეული ცვალებადი შედგენილობის თავმდგომნი და მერიგენი.

ის პირი, ვინც ამას დაარღვევს, პასუხს აგებს: სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულებისა და საწარმოს თანამდებობის პირი— სადისკიპლინო წესით, ხოლო კერძო პირს გადაეწყვიტება ინტელექტუალი მუშაობა ერთ თვემდე ან ჯარიმა 100 მანეთამდე, რაც მას დაედება სააღმინისტრაციო წესით— სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის აღმინისტრაციული გადასახდელის დადების შესახებ დადგენილი წესების თანახმად.

4. დაევალოს რესპუბლიკის პროკურატურას და საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსით“ გათვალისწინებული შეღავათები ახალწვეულთა და უფროსი ასაკის ცვალებადელთა და მათ ოჯახისათვის (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 253); აგრეთვე უზრუნველყონ 1, 2 და 3 კატეგორიის შეღავათების მქონე ახალწვეულთა ოჯახებისათვის დაბმარების მიცემა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 4-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 57 №-ი, მუხ. 530) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 17-ის დადგენილების წესისამებრ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 10).

5. დაევალოს საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს—მისცეს სათანადო დირექტორები კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებს, რათა მათ შეუნარჩუნონ შეკრებილებაში მყოფ ახალწვეულთ და საერთო შეკრებილებაში მიმავალ უფროსი ასაკის ცვალებადელთ საშუალო სამუშაო ხელფასი მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი კარგობად იქნებიან, და აგრეთვე უზრუნველ-

ჰყონ ცვალებადელთა ოჯახის შრომისუნარიანი წევრებისათვის შრომის საშუალო დატვირთვა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლი შვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. მეგრელი შვილი.

1930 წ. ივლისის 2.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 162 №-ში 1930 წ. ივლისის 12.

## 216. დადგენილება ს. ტ. ს.

1930 წლის ხაბამბე კამპანიის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის  
საჭირო ღონისძიებათა შესახებ გამოცემული ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 23-ის დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„1930 წლის საბამბე კამპანიის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ გამოცემული ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 23-ის დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და საოლქო (სამაზრო) წყალთა მეურნეობის სამმართველოებს დაუყოვნებლივ შეადგინონ დაკონტრაქტებული საბამბე მიწების მორჩევიდ მორწყების ჩატარების გეგმა. გეგმა შედგენილ უნდა იქნეს არა მარტო საოლქო და სარაიონო ხაზით, არამედ სოფლის ხაზითაც ოვითებული საირიგაციო სისტემის მიხედვით და ამ სისტემის აუცილებლად დამითაც გამოყენებით.

2. დაევალოს საოლქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ როგორც სარწყავი წყლის ქსელისა, ისე წყლის სათანადო გამოყენების დაცვა, რისთვისაც წყლის ქვედა აღმინისტრაციას დასახმარებლად მოუჩინონ თვეში წყალმოსარგებლენი წყლის სისწორით გამოყენებისათვის კონტროლის გასაწევად;

3. დაევალოს საოლქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გაუწიონ, საოლქო და სარაიონო თესვის კომისიების მეშვეობით დახმარება იმ მეურნეობებს, რომელთაც ესაჭიროებათ საწევი ძალა როგორც საბამბე მინდვრების ხელახლი გადახვისათვის, ისე შემდგომი დამტუშავებისათვის; საამისოდ გამოყენებულ უნდა იქნეს, ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, ისე ინდივიდუალური მეურნეობების ზედმეტი და თავისუფალი საწევი ძალა სოფლისავე შიგნით, განსაკუთრებული მტკიცე სასყიდლით, რასაც დააწესებენ თესვის კომისიები.

4. წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს, საქართველოს სსრ კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს, საბჭოთა მეურნეობებს და სამანქანო-სატრაქტორო ცენტრს—მიიღონ სათანადო ღონისძიება, რათა ყველა მათი ტრაქტორი და სატრაქტორო კოლონა გამოყენებულ იქნეს სამინდვრე სარწყავი ნაკვეთების გადახენისათვის.

5. დაევალოს საოლქო და სარაიონო თესვის კომისიებს და სოფლის კავშირს—დაიწესონ სასტიკი კონტროლი, რათა გლეხებმა სავსებით შეასრულონ ბამბის დათესვის თაობაზე დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი; თანაც დაუყოვნებლივ შეუფარდონ იმ მთესველთ, რომელნიც საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს არ ასრულებენ, ამ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გადასახდელი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სამემინდვრეო კონპერაციის კავშირის სამებამბეო სექციას და საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს—სასწრაფოდ შეიმუშაონ რაიონობითი გეგმა იმ მუშა-ძალის რაოდენობისა, რაც საპირო იქნება ზაფხულის სარწყავი სამუშაოების პრერიოდში და მოსავლის მოკრების დროს; აგრეთვე შეიმუშაონ ღონისძიებანი ამ რაიონებისათვის საჭირო მუშა-ძალის მოსამარაგებლად და თანაც გამოარკვიონ, რა სახსარი იქნება საჭირო ამ საქმის ორგანიზაციისათვის გასაწევი ხარჯების დასაფარავად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სამემინდვრეო კონპერაციის კავშირის სამებამბეო სექციას და საქართველოს სსრ თესვის ცენტრალურ კომისიას, ბამბის მოსავლიანობის გადიდების მიზნით, იხმარონ ყოველი ღონისძიება ბამბის მოვლის ტეხნიკის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე მოახდინონ თესვის გარშემოროგორუც თვით გლეხობისა, ისე ყველა ადგილობრივი ორგანიზაციის უზრადლებისა და ძალის მობილიზაცია; ამასთანავე, პასუხისმგებლობა თესვის წარმატებით ჩატარებისათვის დაეკისროს თესვის ცენტრალურ კომისიას.

8. დაევალოს სოფლის კავშირს—მარწყოს ზაფხულის თესვის მუშაობის შემდეგ კურსები აგრინომიული პერსონალის კვალიფიკაციის წარმატებისათვის.

9. წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს—შეურყევლად განახორციელოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მებამბეობის 1929/30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ“ გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 204) მე-6 მუხლი, რომლითაც აქრძალულია ბამბის რაიონებში მარცვლეული პროდუქტების კონტრაქტაცია.

10. მიეწოდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—გამოკვლიოს და პასუხისმგებაში მისცეს ის ორგანიზაციები, რომელთაც არ შეასრულეს ეს დადგენილება და დასდეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი ბამბის რაიონებში ჰურეულ პროდუქტებზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლივილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელივილი.

## 217. დადგენილება ს. პ. ს.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წ. ერთიანი სასოფლო-ხამეურ-ნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე 1930 წლის მარტის 16-ის თარიღით გამოცემული დადგენილებისათვის 51<sup>1</sup> და 84<sup>1</sup> მუხლების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930/31 წ. ერთიანი სასოფლო-ხა-მეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ 1930 წლის მარტის 16-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებას (კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 55; მე-10 №-ი, მუხ. 135) დაემატოს 51<sup>1</sup> და 84<sup>1</sup> მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„51<sup>1</sup>. სურნელოვან (ეთეროვან-ზეთოვან) მცენარეთა ნათესი ფართობი გა-დასახადისაგან განთავისუფლდება.

(ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 28-ის დადგენი-ლები).“

„84<sup>1</sup>. განთავისუფლდება გადასახადისაგან საშუალო გლეხის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს დარიბი მეურნეობის მიწის იაფ ფასად მოხვნისათვეის, რა ფასიც დაწესებულ იქნება მოქალაქეთა საერთო კრების ან ადგილობრივი აღმა-სრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

(ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 28-ის დადგენი-ლები).“

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. ივლისის 2.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 156 №-ში 1930 წ. ივლისის 6.

## 218. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. პ. ს.

საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რე-ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტეხნიკური სას-წავლებლები გადაკეთებულ იქნენ შემდეგ საფუძველზე:

ა) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი და უმაღლესი სამხატვრო-ტეխნიკური ინსტიტუტის მხატვრობისა და მექანდაკეობის

ფაქულტეტი გაერთიანებულ იქნენ ერთ უმაღლეს სასწავლებლად—სახელმწიფო  
პედაგოგიურ ინსტიტუტად და ეს უკანასკნელი გადაიცეს განათლების სახალხო  
კომისარიატის გამგებლობაში;

ბ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი გა-  
დაკეთდეს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტად და გაღაიცეს იგი, ტფილი-  
სის სამედიცინო ტეხნიკუმთან ერთად, ჯამშროელობის სახალხო კომისარიატის  
გამგებლობაში;

გ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი გა-  
დაგეთდეს საფინანსო-კომპერატორულ ინსტიტუტად და გადაიცეს იგი სამომზმა-  
რებლო კომპერატორის ცენტრალური კავშირის „ცენტრალური“ გამგებლობაში; ამ  
გამგებლობაში მონაწილეობას მიიღებნ სასოფლო-სამეურნეო კომპერატორის ცენ-  
ტრალური კავშირი—„სოფლის კავშირი“, ა/კსუსრ ვაჭრობის სახალხო კომი-  
სარიისატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველო, საქართველოს  
სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და საქართველოს სსრ ფინანსთა სა-  
ხალხო კომისარიატი;

დ) ტეილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება გადაკეთდეს საბჭოთა ომშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტად და დატოვებულ იქნეს იგი განათლების სახალხო კომისარიატის გამჯებლობაში;

յ) Սայահուզելով սև սաելմֆուց პոլութենիոյրո օնսტուշտու սանեյ-  
ներո-սամշենքը լու գուշլը բար և սմալլես սամեսարցրո-թենիոյրո օնսტուշ-  
տու սագորուշլը սամշենքը լու գուշլը բար գայրուանենքը լու օյնեն սամշենք-  
ը լու-սանեյներո-սամշենքը օյն օնսტուշտու առ և գաճառը օյն սայահուզելով սև  
սաելմբառ պետքնենք սամալլես սածխուս:

၃) စაქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტის სამთკიმიური, საირიგაციო, სატრანსპორტო და ელექტრო-მექანიკური ფაკულტეტები და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი და მებაღეობა-მეცნიერების ფაკულტეტის სუბტროპიკული განკოდილება გამოყოფილ იქნენ და საჭიროდ იქნეს ცნობილი მათი გადატყმა სათანადო სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებისათვის, რათა მათ ბაზაზე მოწყოს საამიერკავკასიონ და საკავშირო მნიშვნელობის სპეციალისტები:

၆) ဗုမာလျှေးစီ စာမိန္ဒရွာ၏-ပြောနိုင်ဖွံ့ဖြိုးရေး ဝန်ဆောင်ရွက်ခြင်း၊

2. ყველა ზემოაღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც საქართველოს სსრ-ის სათანადო უწყების თუ ორგანიზაციის გამგებლობაში ჩატარდა, სწავლებისათვის უნდა იხმარებოდეს ქართული ენა, გარდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებისა, საარაკ სწავლება უნდა სწარმოებრივ ქართულსა და რუსულ ენაზე.

3. საქართველოს სსრ-ში ასებული სპეციალური ტენიკულები გადაიცეს შემდგრად აწყიბიბისა თა სამიერნოი ორგანიზის გამჭვილობაში:

ა) ტფილისის ინდუსტრიალურა, ტფილისის ქიმიური (ქართული), ტფილისის საფეიქრო, ბორჯომის სატყეო და ტფილისის ქიმიური (რუსული) ტენიცებიდან—ა/კსტსრ სახალხო მეცნიერობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში;

ბ) ქუთაისის ინდუსტრიალური, ქუთაისის სამთა, ტფილისის სამთა, ტფილისის საშინამრეწველო, ხონის მექანიკური და ჭიათურისა და ტფილისის მუშავა ტეხნიკურები—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საპკოს გამგებლობაში;

გ) ტფილისის სამიწათმოწყობო, ტფილისის კოლექტიური მიწათმოქმედების, ტფილისის საეკრერინარო, ბაკურციისის, ყვარელის, გორის, ქუთაისის, ამბროლაურის, კულაშის, გორა-ბერეურულის, ლანჩხუთის და საგურამო-წინამდღვარიანთარის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკურები და აგრეთვე სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკურის მეცხოველეობის განყოფილება და ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკურის მემინდერეობის განყოფილება—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში;

(დ) ოზურგეთის ჩაის ტეხნიკური, სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკურის ჩაის განყოფილება და ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკურის ჩაის განყოფილება—სააკციის საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ გამგებლობაში;

(ე) ქუთაისის, ოზურგეთის და სიღნალის კომისარიატიული ტეხნიკურები—„ცეკავშირის“ გამგებლობაში;

ვ) ტფილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტეხნიკური—ა/კსტსრ-ის გაქრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამართველოს გამგებლობაში;

ზ) ტფილისის ფარმაცევტიული ტეხნიკური—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში;

თ) საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ფოთის მექანიკური და სანაცურულო მექანიკის ტეხნიკური გადაიცეს შევი ზღვის საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ამიერკავკასიის სარაიონო სამართველოს გამგებლობაში;

ი) ცეკავშირის პედაგოგიური ტეხნიკური დატოვებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

4. ზემოაღნიშნული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკურების გადასაცემად მოწყობს მთავრობის კომისია შემდეგ შედგენილობით: თავმჯდომარე—განათლების სახალხო კომისრის მოადგილე და წევრები: მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და „ცეკავშირის“ წარმომადგენელი.

წინადადება მიეცეს კომისიას თავისი მუშაობა დაამთავროს არა უგვიანეს ამა ივლისის 20-ის რიცხვისა და უზრუნველყოს სასწავლებლებისათვის სათანადო სადგომები და სახსარი.

5. სპაროგრამო-სამეცოდო ხელმძღვანელობის გაწევა ცეკავშირების სასწავლებლებისა და ტეხნიკურებისათვის, რომელიც საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზეა, და აგრეთვე კონტროლის გაწევა იმისათვის, რათა ამ სასწავლებლებმა და ტეხნიკურებმა განახორციელონ სათანადო დირექტივები სახალხო განათლების სეკრეტში, დაეკისროს განათლების სახალხო კომისარიატს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სათანადო სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებს და უწყებებს გაითვალისწინონ მომავალი 1930/31 წლის ბიუჯეტში სათანადო ასიგნები მათვის გადაცემული უმაღლესი სასწავლებლებისა

და ტენიკუმების მუშაობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე კაპიტალური სადგომების მშენებლობისათვის და თავის დროზე წარუდგინონ დაფინანსების გეგმა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

7. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს სათანადო უწყებებთან და სამეცნიერო ორგანოებთან შეთანხმებით:

ა) უზრუნველყოს მომავალი სასწავლო წლიდან ყველა უმაღლესი სასწავლებელი, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი და ტეხნიკუმი სათანადო საპროგრამო სამთოოდ ხელმძღვანელობით და შეიმუშაოს ა/წ. ივლისის 15-სათვის ახალი სასწავლო გეგმები, ხოლო სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და ტეხნიკუმის პროგრამები;

ბ) სათანადო უწყებებთან და სამეცნიერო ორგანოებთან ერთად ათი დღის ვადაზე შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დებულებისა განათლების სახალხო კომისარიატის ურთიერთობის შესახებ უწყებებთან და სამეცნიერო ორგანოებთან უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების ხელმძღვანელობის სფეროში;

დ) ათი დღის ვადაზე წარუდგინოს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს კადრების მომზადების 5-წლიანი გეგმის მიხედვით შემუშავებული გეგმა 1930/31 წლს ახალი ინდუსტრიალური და სასოფლო-სამეცნიერო ტეხნიკუმების მშენებლობისა, რისთვისაც გაითვალისწინოს მეორე საფეხურის სკოლების მეორე კონცენტრის გადაკეთება სპეციალურ ტეხნიკუმებად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიუმისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიუმისათვის.

1930 წ. ივლისის 7.

ტფილისი-სახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 159 №-ში 1930 წ. ივლისის 9.

## 219. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

„საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930/31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეცნიერო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების 25 მუხლის შეცვლის შესახებ.

„1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეცნიერო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა შესახებ“ გამოქვეყნებული ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის დადგენილების მე-11 მუხლის შეცვლის თაობაზე გამოცემული ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 19-ის თა-

რილისა და 251 №-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“-ს 1930 წ. 165 №-ი) — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების „შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების 25 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 55; მე-10 №-ი, მუხ. 135; გაზ. „კომუნისტი“-ს 146 №-ი) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„25. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება შემდეგი ნიშნების საფუძველზე:

ა) როდესაც მეურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული შრომა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთათვის ან საშინამრეწველო რეწაობაში და საწარმოში, ისეთი შემთხვევის გამოყლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამოიყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განსაკუთრებული ხასიათით და იგი არ აღმატება მუშა-ძალის დაქირავების ზღვრულ რაოდენობას.

შუშა-ძალის დაქირავების ზღვრული რაოდენობა, რაც არ იშვევს მეურნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგვრას, დაწესებულ იქნეს:

სამარცვლეული მეურნეობათათვის	35	დღე	წელიწადში
სამებალეო მეურნეობისათვის	50	"	"
კულტურული ბაღებისათვის	75	"	"
სავენახე მეურნეობისათვის	100	"	"
კულტურული ვენახებისათვის	150	"	"
ბრინჯის მეურნეობისათვის	50	"	"
ჩაის მეურნეობისათვის	125	"	"
ბამბის მეურნეობისათვის	150	"	"
თამბაქოს მეურნეობისათვის	240	"	"

სამესაქონლეო მეურნეობისათვის — 1 მწყემსი (იმ პირობით, უკეთუ მწყემსის შრომას აქვს დამხმარე ხასიათი და თანაც უკეთუ მეურნეობაში მყოფი შრომის უნარიანი წევრები მონაწილეობას იღებენ. მეურნეობის ყოველ-დღიურ მუშა-ძალი);

შინამრეწველ ხელოსნებისათვის — 1 მოზრდილი მუშა ან 2 შეგირდი, უკეთუ მუშის არ შეგირდების დაქირავება გამოწვეულია წარმოების პირობებით;

ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის (მუშა-ქალის) ყოლა მეურნეობაში და სასეზონო დღეები ზემოაღნიშნულ ფარგლებში როდი ჩაითვლება კულაკური მეურნეობის ნიშანად, უკეთუ მეურნეობას არა ჰყავს შრომისუნარიანი მამაკაცი, ან უკეთუ შრომისუნარიანი მამაკაცები მძიმე ავაღმყოფნი არიან, სამსახურში იმყოფებიან ან წასულნი არიან;

ბ) როდესაც მეურნეობას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის საღლვები, მურღლულის საფქველი, ფერვის საფქველი, სახეჩელი, მატყლის საპენტი, სასრესი, კარტოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი და საცენებელი საჭარმო, ნორმეული ქარხანა ან სხვა სამრეწველო საჭარმო, რომლისათვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი, ქარის ან წყლის ძალა; ამას-თანავე, წისქვილის წლიური შემოსავალი უნდა აღემატებოდეს 8 ცენტნერ (50

ფულ) მარცვლეულს და ეს შემოსავალი ფულზე გადატანით 200 მანეთზე მეტი უნდა იყოს;

გ) როდესაც მეურნეობა აქირავებს სისტემატიურად ცალკეულ რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას მექანიური ძრავით ან აწარმოებს ამ მანქანით სხვა მეურნეობათათვის მუშაობას სასყიდლით;

დ) როდესაც მეურნეობა აქირავებს სისტემატიურად შენობას საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად, უკეთე, ამასთანავე, სადგომების (როგორც გაწყობილისა, ისე გაუწყობელის) გაქირავებით მიღებული შემოსავალი შეაღენს მეურნეობის მთელი შემოსავლის ნახევარზე მეტს და მეურნეობის საერთო შემოსავალი აღემატება 500 მანეთს;

ე) როდესაც მეურნეობა იჯარით იღებს მიწას გამცემისათვის კაბალური პირობით;

ვ) როდესაც მეურნეობა იჯარით იღებს სავაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით ბალს, ვენაბს და სხვ.;

ზ) როდესაც მეურნეობის წევრი ეწევა ვაჭრობას, მევახშეობას ან მას აქვს სხვა ანაშრომითი შემოსავალი (მათ შორის რელიგიური კულტის მსახური);

**შენიშვნა 1.** მეურნეობის არაშრომითი შემოსავალი არა უმეტეს 200 მანეთისა წელიწადში არ შეაღენს კულაკური მეურნეობის ნიშანს, გარდა ამა მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნული შემთხვევისა.

ამა შენიშვნის 1-ლ ნაწილით განსაზღვრული გამონაკლისი არა ვრცელდება ისეთ შემოსავალზე, რაც მიღებულია მევახშეობით და რელიგიური კულტის მსახურობით.

**შენიშვნა 2.** უკეთე მეურნეობის შედგენილობაში შედის ისეთი პირი, ვინც, განსაკუთრებული მიზეზების გამო, ეწევა წრილ ვაჭრობას, როგორც მაგალითად შრომისა და ომის ინვალიდი, რომელიც ვაჭრობს უსასყიდლო სარეგისტრაციო მოწმობით, აღნიშნული მეურნეობა კულაკურ მეურნეობად არ ჩაითვლება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლი შვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელი შვილი.

1930 წ. ივლისის 7.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 159 №-ში 1930 წ. ივლისის 9.

## 220. დ ა ღ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

„დამატებითი საცხოვრებელი ხილცის უფლების თაობაზე“ 1929 წ. დეკემბრის 3-ის თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტი და 4 მუხლის შეცვლის შესახებ.

„დამატებითი საცხოვრებელი სიერცის უფლების შესახებ“ გამოცემულ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 3-ის დადგენილებაში (კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 28) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

I. 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საკადრო თავმდგომთა შედგენილების იმ სამხედრო მსახურთ, რომელიც მიკუთვნებულ არიან მე-9 და უფრო მაღალი კატეგორიებისათვის, ცალკეული სამხედრო ნაწილების კომანდირთ და კომისართ და აგრეთვე სამხედრო სასწავლებლების სპეციალური სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური საგნების მასწავლებელთ.“

II. მე-4 მუხლში სიტყვები „ცალკე სამწყობრო ნაწილების იმ კომანდირებასა და კომისარებს, ვისაც მინიჭებული აქვს ლეგიონის კომისარის უფლება“ შეიცვალოს სიტყვებად: „ცალკეული სამხედრო ნაწილების კომანდირთ და კომისართ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლივილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელივილი.

1930 წ. ივნისის 7.

ტფილისი-სასახლე.

## 221. დადგენილება ს. ქ. ს.

პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს გამგებლობაში მყოფ საწარმო-თათვის და დედობისა და ჩვილობის განყოფილებათა სოციალური დახმარების რჩვანიზაციებისათვის საგადახახადო შელაგათების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნენ ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსალებისაგან ის საწარმოო სახელოსნოები, რომელიც პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს და ჯანმრთელობის ორგანოებთან არსებულ დედობისა და ჩვილობის განყოფილებათა სოციალური დახმარების რჩვანიზაციების გამგების

ლობასა და უშუალო ექსპლოატაციაში არიან და იჯარით არ იცემიან; აგრე-  
თვე ის სავაჭრო საწარმონი, რომელიც ეწევიან მხოლოდ აღნიშნული სახელო-  
სნოების მიერ დამზადებული საგნების გაჭრობას.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანიზაციები და მათთან არსებული საწარ-  
მონი, სადგომების ქირისა და კომიუნალური მომსახურეობის სასყიდლის სფე-  
როში, გათანაბრებულ იქნენ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. ივნისის 17.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 182 №-ში 1930 წ. აგვისტოს 6.

## 222. დადგენილება ს. ქ. ს.

„მშრომელ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის თაო-  
ბაზე“ 1929 წ. ოქტომბრის 11-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შე-  
ცვლისა და დამატების შეხახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. ივ-  
ნისის 3-ის დადგენილების შესაბამისად, რაც ეხება იმ მოქალაქეთა წერა-კით-  
ხვის უცოდინარობის სავალდებულო წესით ლიკვიდაციას, რომელიც გასაწვევი  
არიან სამხედრო სამსახურის მოსახლელად საკადრო ნაწილებში, ტერიტორია-  
ლური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში და ჯარგარებები წესით, ან რომე-  
ლნიც შესდგომიან ჯარში გაწვევამდე მომზადებას (ა-ქსტარ კან. კრ. 1930 წ.,  
11 №-ი, მუხ. 120), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

„მშრომელ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის  
შეხახებ“ 1929 წ. ოქტომბრის 1-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებაში (საქ.  
სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 241) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი  
და დამატებანი:

1. 1-ლ მუხლში სიტყვები: „აგრეთვე ის პირი, რომელმაც ჯარში გაწვევა-  
მდე სამხედრო მომზადება უნდა გაიაროს“ შეიცვალოს სიტყვებით: „აგრეთვე  
სამხედრო-ვალდებულთა და სამხედრო მსახურთა ქვემო აღნიშნული კატეგორი-  
ების პირი.“

II. მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

4. სავალდებულოა წერაკითხვა შეისწავლოს აგრეთვე:

ა) თვრიშმეტი წლის ასაქს მიღწეულმა კველა უწერაკითხვო მოქალაქემ,  
რომელმაც უნდა მოიხადოს სამხედრო სამსახური საკადრო ნაწილებში, ტერი-

ტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში, ჯარგარებები წესით ან გაიაროს ჯარში გაწვევამდე მომზადება;

ბ) ყველა უწერაკითხვო მოქალაქე, რომელიც ჯარში გაწვევამდე მომზადებას შესდგომია, ან რომელიც იხდის სამხედრო სამსახურს ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში თუ ჯარგარებები წესით.

ამა მუხლში აღნიშნულ პირთა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს იმ წესით და იმ ვადაზე, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. ივნისის 3-ის დადგენილებაში „იმ მოქალაქეთა წერა-კითხვის უცოდინარობის სავალდებულო წესით ლიკვიდაციის შესახებ, რომელნიც გასაწვევი არიან სამხედრო სამსახურის მოსახლეობად საკადრო ნაწილებში, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში და ჯარგარებები წესით, ან რომელნიც შესდგომიან ჯარში გაწვევამდე მომზადებას“ (ა-ქსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 120) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემულ ინსტრუქციებსა და დადგენილებებში“.

### III. მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

6. იმ პირს, ვინც თავს აარიდებს ამა დადგენილებით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებას თავისი წერა-კითხვის უცოდინარობის ან მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში, აგრეთვე იმ პირს, ვინც ხელს შეუშლის ამ მოვალეობის შესრულებას, დაედება, აღმინისტრატორული წესით, გადასახდელი — იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე ან ჯარიმა 100 მანეთამდე. ამ გადასახდელს დაადგებს საოლქო ან სამაზრო სააღმინისტრაციო განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს, — სათანადო მიღიციის უფროსი, არასაოლქო და არასამაზრო ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის და სარაინო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი — კუთნილებისამებრ — იმ წესით, რაც განსახლერულია სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო აღმინისტრატორული გადასახდელის დადებისათვის.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მყოფ სამხედრო მსახურთ დღისცილინალური გადასახდელი დაედებათ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საღისცილინო წესდების მიხედვით“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭო თავმჯდომარის მოდგილე გ. მგალობლი შვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელი შვილი.

1930 წ. ივნისის 17.

ტფილისი — სასახლე.

## 223. დადგენილება ს. კ. ს.

გვარისა და სახელის გამოცვლის წესის შესახებ.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 122 მუხ. შენიშვნის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, 18 წლის შესრულების შემდეგ, უფლება აქცის გამოიცვალოს თავისი გვარი (შთამომავლობითი სახელწოდება) და სახელი, უკეთუ ამით დარღვეულ არ იქნება მესამე პირთა უფლებანი.

2. ის პირი, რომელსაც სურს გამოიცვალოს გვარი (შთამომავლობითი სახელწოდება) ან სახელი, შეიტანს განცხადებას საქალაქო საბჭოსთან ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი სათანადო ორგანოში თავისი საცხოვრებელი აღგილის მიხედვით; განცხადებას უნდა დაერთოს მთხოვნელის ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან ამ დოკუმენტების ასლი, სანოტარო წესით შემოწმებული.

3. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იყოს: ა) განმცხადებლის გვარი, სახელი და მამის სახელი; ბ) სოციალური მდგომარეობა; გ) ოჯახური მდგომარეობა; დ) დაბადების დრო და ადგილი; ე) დამოკიდებულობა სავალდებულო სამხედრო სამსახურთან; ვ) ცნობები განმცხადებლის არასრულწლოვანი შეიღების შესახებ, რომელთა გვარიც იცვლება, მათი სახელი და დაბადების წელიწადი, თვე, რიცხვი და ადგილი; ზ) სისწორით ჩამოთვლა იმ ქალაქებისა და ადგილებისა, სადაც განმცხადებელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სცხოვრობდა; თ) გვარის გამოცვლის მიზეზი; ი) ახალი გვარი ან სახელი; კ) განმცხადებლის ზუსტი მისამართი.

4. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები: ა) განმცხადებლის ვინაობის მოწმობის ასლი; ბ) იმ ადგილის საფინანსო ორგანოს ცნობა გადასახადებისა და გამოსალების გადახდის შესახებ, სადაც უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში სცხოვრობდა ის პირი, რომელიც გვარს თუ სახელს იცვლის; გ) განმცხადებლის ხელწერილი ტყუილი ცნობების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 98 მუხლის თანახმად; დ) სათანადო ფულადი თანხა პუბლიკაციისათვის.

5. საქართველოს საბჭოსთან ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი მიღების რა განცხადებას, გააკეთებს ამის შესახებ, განმცხადებლის ხარჯით, პუბლიკაციის ადგილობრივ თვიციალურ გაზეთში (უკეთუ ასეთი გაზეთი არსებობს) და აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოში და იმავე დროს მიმართავს ადგილობრივ სისხლის სამართლს სამძებრო მილიციას, გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამშართველოს და იმ ორგანოს, რომელიც სისხლის სამართალის წესით მსჯავრდადებულობის სიებს აწარმოებს, რათა მათ შეატყობინონ — ხომ არ არის რაიმე დაბრკოლება უწყებული პირის გვარის თუ სახელის გამოცვლისათვის. ასეთი შეკითხვა გაეგზავნება არა

მარტო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის ზემოაღნიშნულ ორგანოებს, არამედ იმ ადგილის ორგანოებსაც, სადაც ეს პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სცხოვრობდა.

**შენიშვნა.** აღნიშნულ შეკითხვაში უნდა აღინიშნოს, რომ უკეთუ ერთი თვის განმავლობაში პასუხი მიღებულ არ იქნა, ეს თანხმობად ჩაითვლება.

6. წინა მუხლში აღნიშნული მოთხოვნების შესრულებისა და პუბლიკის დღიდან ორი თვის ვადის გასვლის შემდეგ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამტერი ორგანოს გამგე შოახსნებს მთელს საქმეს საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელიც, უკეთუ ზემოაღნიშნული დაწესებულებანი და მესამე პირი საწინააღმდეგოს არას განცხადებენ, მისცემს ნებართვას გვარის თუ სახელის გამოცვლის რეგისტრაციისათვის.

7. გვარის თუ სახელის გამოცვლაზე უარის თქმის ძირითად მიზეზად შეიძლება იყოს: იმ ორგანოების ცნობა, რომელნიც სისხლის სამართლის წესით მსჯავრდადებულობის სიებს აწარმოებენ, აგრეთვე გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების ცნობა, მესამე პირთა პროტესტი და არაატივსალემი მოტივი გვარის თუ სახელის გამოცვლისა.

8. გვარის თუ სახელის გამოცვლაზე უარის თქმის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განასაჩინოროს ეს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტში და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

9. გვარის თუ სახელის გამოცვლაზე ნებართვის მიცემის შემდეგ ახალი გვარი თუ სახელი შეიტანება მოქალაქობრივი მდგომარეობის ყველა აქტსა და დოკუმენტში, რაც განმცხადებლის ვინაობის დამადასტურებელია, გარდა სამხედრო-სააღნისხო და პროფესიონის დოკუმენტებისა, და აგრეთვე ეცნობება სათანადო სამხედრო - სააღნისხო ორგანოებს, უკეთუ ის პირი, რომელმაც გვარი თუ სახელი გამოიცალა, სამხედრო სამსახურშია, ან სამხედრო ვალდებულია, ან და წვევამდედი.

10. ერთ-ერთი მეუღლის გვარის გამოცვლა არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლას, ისე როგორც მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის გვარის გამოცვლა არ იწვევს სრულწლოვანი შვილების გვარის გამოცვლას.

მეუღლე იმ პირისა, რომელიც იცვლის გვარს ან რომელმაც იგი უკვე გამოიცალა, და ამ პირის სრულწლოვანი შვილები მიიღებენ ახალ გვარს პირველი — მეუღლისას, ხოლო მეორე — მშობლისას, უკეთუ ამაზე თანახმა იქნებიან. თავისი თანხმობის შესახებ ეს პირი წერილობითს განცხადებას შეიტანებ მეუღლესთან ან მშობლებთან ერთად ან და მათგან დამოუკიდებლად, ზემოაღნიშნული წესისამებრ.

11. არასრულწლოვანი შეილები მიიღებენ ახალ გვარს იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მათი მშობლელი გამოიცვლის გვარს ან როდესაც ეს მშობლები შეთანხმდებიან, რომ მისცემ შვილებს ერთ-ერთი მეუღლის ახალი გვარი.

უკეთუ ეს შეთანხმება მიღწეულ არ იქნა, საკითხს შვილების გვარის გამოცვლის შესახებ გადასწყვეტს სამეურეო და სამზრუნველო ორგანო.

12. ამა დადგენილების წესები შეტანილ იქნეს საქორწინო, საოჯახო და სამეცნიერო კანონთა კოდექსში 122 მუხლის შენიშვნის დანართის სახით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. ივნისის 17.  
ტფილისი—სასახლე.

---

## 224. დადგენილება ს. კ. ს.

1930 წ. საშემოდგომო სახოფლო-სამეცნიერო კამპანიის გეგმის შესახებ.

მომავალ საშემოდგომო თესვის კამპანიას უდიდესი სამეცნიერო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ კამპანიის წინაშე სცდას სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებისა, მისი თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისა და შემდგომი გაშლის ამოცანა.

ზემოაღნიშნულის მიხედვით საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დავალებანი 1930 წლის საშემოდგომო სა-სოფლო-სამეცნიერო კამპანიისათვის:

1. საშემოდგომო კულტურების ფართობი, 1929 წელთან შედარებით, უნდა გაიზარდოს  $2,7\%$ -ით და ეს ფართობი უნდა გადიდეს 275,5 ათასი ჰექტარიმდე, წინააღმდეგ 1929 წლის 258,5 ათასი ჰექტარი.

2. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა გადიდებულ იქნეს  $6-7\%$ -ით.

3. საშემოდგომო კულტურების აღრეული მოხვნის ფართობი განისაზღვროს 100.000 ჰექტარი, ე. ი. საშემოდგომო ნაკვეთის  $34,5\%$ -ით.

4. საგაზაფხულო კულტურების საშემოდგომო-საზამთრო მოხვნის ფართობი განისაზღვროს 100.000 ჰექტარით.

5. სათესლე მასალა გაწმენდილ უნდა იქნეს  $100\%$ -ით.

6. მწერივი ნათესის ფართობი განისაზღვროს 20.300 ჰექტარით, ე. ი. საშემოდგომო ნაკვეთის  $7,5\%$ -ით.

7. უზრუნველყოფილ იქნეს, რათა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების თესლბრუნვაში მოექცეს საშემოდგომო ნათესის 29.400 ჰექტარი, ე. ი.  $100\%$  საბჭოთა მეურნეობების საშემოდგომო ნაკვეთისა და  $50\%$  კოლმეურნეობების საშემოდგომო ნაკვეთისა.

8. უზრუნველყოფილ იქნეს თესლის გაწამლვა 248.000 ცენტნერის რაოდენობით.

9. ტკილით და კირით გაპატივების ლონისძიებანი განხორციელებულ იქნეს 2.500 ჰექტარ ფართობზე.

წინადაღება მიეცეს სოფლის კავშირს დაუყოვნებლივ შეუდგეს საჭირო მოსამაშადებელი ლონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებას, და იზრუნოს, რათა როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიებისათვის საჭირო მინერალური სასუქი თავის დროზე იქნეს უზრუნველყოფილი სასწოობო სადგომებით და ტარით.

10. განსაზღვრულ იქნეს შემდეგი დავალებანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის, სამანქანო-სატრაქტორო კოლონებისათვის და ინდივიდუალური ტრაქტორებისათვის:

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის—	მოხნულ	ფართ.	17.640	ჰექტ.
სამანქანო-სატრაქტორო კოლონებისათვის	"	"	7.520	"
სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და	"	"		
სამანქანო-სატრაქტორო კოლონების გარეშე	"	"		
მომუშავე ტრაქტორებისათვის	"	"	16.680	"

სულ ტრაქტორით მოხნული ფართობი 41.840 "

წინადაღება მიეცეს სოფლის კავშირსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უზრუნველყონ ტრაქტორების 20-სათანანი მუშაობა, რისთვისაც ტრაქტორებს უნდა ჰქონდეს სანათო ხელსაწყოები.

11. უზრუნველყოფილ იქნეს სადასაზღვეო სათესლე ფონდის დაგროვება მთლად საჭირო სათესლე მარცვლეულის  $15\%$ -ის რაოდენობით; ამასთანავე, დასავლეთ საქართველოში არ უნდა იქნეს ჩატარებული თავთავიანი კულტურების თესლის დაგროვება.

12. კოლმეურნეობების სადასაზღვეო ფონდის დაგროვება უნდა მოხდეს ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს მთლად 1930 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო ფართობს; თანაც მიღებულ იქნეს მხედველობაში სათესლე მასალით უზრუნველყოფა ახალი ფართობისა კოლმეურნეობათა ზრდასთან დაკავშირებით, ხოლო დაგროვება დაწყებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ მოსავლის აკრეფისა და გაღეწვის შემდეგ.

13. წინადაღება მიეცეს სოფლის კავშირს და კოლმეურნეობათა ცენტრს უზრუნველყონ ბელტების რემონტი და მშენებლობა შემდეგი მოცულობით:

სადასაზღვეო ხელუხლებელი სათესლე ფონდებისათვის ბელტების ტევადობა უნდა იყოს 112.822 ცენტ.

კოლმეურნეობათა სათესლე ფონდებისათვის—მთელი  $100\%$ -ით.

უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის მაქსიმალური შრომითი და ფულადი მონაწილეობა ბელტების აგების საქმეში.

14. 1931 წლის საგაზაფხულო კამპანიაში სოიასი, სათესი ბალახისა, ბოსტნებისა, კარტოფილისა და ლობიოს ფართობის თესლით უზრუნველყოფა განხორციელებულ უნდა იქნეს სათანადო სათესლე მასალის დამზადებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით, რესპუბლიკის ფარგლებში, ნაწილობრივ კი—თესლის შემოზიდვით.

15. წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს უზრუნველყოს მანქანიზმის მარაგების გეგმის თავის დროზე 100%-ით შესრულება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უმარად დარჩენილი გუთნების გამოყენებას.

16. წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს დაწყებული სარემონტო სახელოსნოების დამთავრება და მათი საბოლოოდ გაწყობა დაასრულოს არა უგვიანეს ა/ჭ. სექტემბრის 1-ლისა და ახალი სახელოსნოები ააგოს ა/ჭ. ნოემბრის დამლევისათვის.

17. უზრუნველყოფილ იქნეს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ჯიშიანი ოქსლით დათესვა 782 ჰექტარზე და აგრეთვე საგაზაფხულო კულტურების ჯიშიანი ოქსლის თავის დროზე შეგრძოვება.

საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ღონისძიებანი ჯიშიანი ოქსლის შეგრძოვების და შენახვის სფეროში გატარებულ იქნეს სააქციო საზოგადოების — „სოიუზხელებ“-ის ხაზით.

18. წინადადება მიეცეს სოფლის კავშირსა და კოლმეურნეობათა ცენტრს მიიღონ ღონისძიებანი საწევი ძალის ორგანიზაციისათვეს კოლმეურნეობებში ცხენ-ხარის კოლონების სახით; თანაც კოლონებში უმთავრესად გაერთიანებულ უნდა იქნეს განსაზოგადოებული მუშა-საქონელი. იმავე ორგანიზაციებმა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უნდა შეიმუშაონ კონკრეტული გეგმა ცხენ-ხარის ახალი კოლონების ორგანიზაციისა სას.-სამ. კრედიტების ხარჯით, რათა ამით დამარება გაეწიოს პირველ რიგში კოლმეურნეობებს, ხოლო შემდეგ — ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს.

19. საჭიროდ იქნეს ცნობილი მიწის მომზადება 1931 წ. გაზაფხულზე მრავალწლიანი მცენარეების დასარგავად შემდეგი რაოდენობით:

ა) ვენახი . . . . .	526	ჰექტ.
ბ) ხეხილის ბალი . . . . .	1369	"
გ) ჩ ა ი . . . . .	5500	"
დ) ციტრუსები . . . . .	500	"

დასავლეთ საქართველოში სუბტროპიკული ხილეულობისა და ტეხნიკური კულტურების (ნუში, პეკანი, ტუნგის ხე, იაპონური ხურმა, ზეთისხილი, იაპონური მუშმალა, ორქებია, არკადონ და სხვ.) გავრცელების მიზნით, საჭიროდ იქნეს ცნობილი დასავლეთ საქართველოში აღნიშნული ხილეულობისა და ტეხნიკური სუბტროპიკული კულტურების სანერგების გაშენება 132 ჰექტ. ფართობზე, რისთვისაც საზღვარგარეთიდან შემოტანილ იქნეს ამ კულტურების სანერგე მასალა.

მევენახობის ფილოქსერის მძლე სანამყენე მასალით უზრუნველსაყოფად საჭიროდ იქნეს ცნობილი საზღვარგარეთიდან 2.000 ათასი მეტრი ამერიკული ვაზის გამოწერა.

20. მაქსიმალურად დაჩქარებულ იქნეს სამელიორაციო ღონისძიებათა გატარება იმ ფართობზე, რაც დანიშნულია რამისა და კუნთვის საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად.

21. მეცხოველეობის საკვები ბაზის გაფართოებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) მრავალწლიანი სათეսი ბალახის გაშენება 4.000 ჰექტ. ფართობზე;

ბ) სასილოსო მშენებლობა 45.000 ტონის ტევადობის სასილოსო დანაღვამთა მოწყობით.

22. მსხვილფეხა ჩქოსან მესაქონლეობის დარგში უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) კოლექტიურ მეურნეობებში რაციონალური საქონლის ბაკების აშენება 1.450 სული განსაზოგადოებული საქონლისათვის;

ბ) კოლექტიური მეურნეობებისათვის 480 სული მერძეული საქონლის მომარაგება;

გ) ქალაქების გარეთუბნებში მომქმედ სამერძეო მეურნეობათათვის დაკონცენტრირებული საკებების მომარაგება არა ნაკლებ 1.000 ტონისა.

23. მეცხვარეობის დარგში:

ა) კოლექტიურ მეურნეობათა 7.000 განსაზოგადოებული ცხვრის უზრუნველყოფა რაციონალური ბინებით;

ბ) კახეთისა და ტფილისის ოლქების საზამთრო საძოვრებზე წყლის დასალევინებელი ადგილების მოწყობა;

გ) საქართველოს მეცხვარეთა უზრუნველყოფა საზამთრო საძოვრებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა 480 ათასი სული ცხვრის ძოვებისათვის.

24. მელორეობის დარგში:

ა) კოლექტიურ მეურნეობებში რაციონალური სალორეებით არა ნაკლებ, ვიდრე 3.100 სული (ძირითადი რიცხვის) ლორის უზრუნველყოფა;

ბ) სამელორეო კოლექტიურ მეურნეობათა საჯიშე მასალით მომარაგება.

25. მეფრინველეობის დარგში:

ა) საჯიშეების მოწყობა ჯიშიანი ფრინველის არა ნაკლებ, ვიდრე 5.600 ფრთისათვის;

ბ) რაციონალური საქათმეების მოწყობა 52 მეფრინველეობის მეურნეობაში.

26. მებრეშუმეობის დარგში უზრუნველყოფილ იქნეს მეორედ გამოყენა 10.000 კოლოფისა და აგრეთვე თუთის ნარგავთა ჩაყრის მომზადება 1931 წლის საგაზაფხულო კამპანიის პერიოდში.

27. დადასტურებულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ზემოაღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად განზრახულ ღონისძიებათა გეგმა. კერძოდ, დამტკიცებულ იქნეს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის განზრახულ ღონისძიებათა დაფინანსების გეგმა 23.146.400 მანეთის რაოდენობით და იგი სექტორების მიხედვით განაწილდეს შემდეგნაირად ათას მანეთობით:

საბჭ. მეურნ. კოლ. მეურნ. კოოპერაც. ერთ. სექტ. საერთო ღონისძ. ს უ ლ  
12.847,75 5454,2 2148,3 608,7 2087,45 23146,4

28. დამტკიცებულ იქნეს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის განზრახულ ღონისძიებათა დაკრედიტების გეგმა 13.422.800 მანეთის რაოდენობით; ამ რიცხვში—4.246.900 მანეთი—1929/30 წლის IV კვარტლისათვის, ხოლო—9.175.900 მანეთი—1930/31 წლის პირველი კვარტლისათვის.

29. საშემოდგომო სას.-სამეურნეო კამპანიის დაფინანსების გეგმის ჩიტა რების უზრუნველსაყოფად საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) მიმდინარე წლის მე-IV კვარტალში სას.-სამეურნეო-კოლექტიურ-კონკრეტულ ბანკის ხაზით დამატებით 1.400,9 ათასი მან. გაცემა; მათ შორის სასილოს მშენებლობისათვის სპეციალური ცენტრალიზებული სახსარიდან 257.400 მანეთის გაღება;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით შემდეგი თანხების გაცემა:

1) 131,45 ათასი მანეთისა მანებლებთან ბრძოლისათვის; 2) 126.000 მან. აგრონომებისა და სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მობილიზაციისათვის და მათი რაიონებში გაგზავნისათვის; 3) 141.000 მან. კოლექტურეთა და საერთოდ სოფლის აქტივის მომზადებისა და გადამზადებისათვის; 4) 10.000 მან. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხაზით საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის.

30. კამპანიის საერთო გეგმის საფუძველზე შემუშავებულ იქნეს კონკრეტული გეგმები სარაიონო და სასოფლო მასშტაბით და ეს გეგმები არა უგვიანეს 1930 წლის აგვისტოს 15-ისა მიწვდენილ იქნეს სოფლამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე და ცალკეულ კომლამდე.

31. საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გატარების დროს ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული დამკერელობის და სოც. შეჯიბრის მეთოდი ცალკე რაიონებსა და საფლოს საბჭოებს შორის, საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტურებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და აგროპუნქტებს შორის, აგრეთვე ცალკე მეურნეობათა და მომუშავეთა შორის; ამ მიზნით საუკეთესო დამკერელები წახალისებულ უნდა იქნენ სასწავლებლებში და ექსკურსიაში გაგზავნით, სახელმძღვანელო სამუშაოზე დაწინაურებით, ტრაქტორის დროშის მიცემით და სხვაფრივ დაჯილდოებით, რისთვისაც სახალხო კომისართა საბჭოსთან უნდა შეიქმნას განსაკუთრებული სპრემიო ფონდი.

დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და კოლმეურნეობათა ცენტრთან ერთად, ორი კვირის ვადაზე, შეიმუშაოს და მიაწოდოს იდგილებს ინსტრუქცია აღნიშნული ფონდის შექმნისა და მოხმარების წესის შესახებ.

32. რადგანაც სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზატორების მტკიცებული კადრების შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძღვევა, დაევალოს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, სოფლის საბჭოებს, საადგილმამულო ორგანოებს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას თავიანთი მუშაობა ამ სფეროში, უმთავრესად მიმართონ კადრების მომზადებისათვის უშუალოდ მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო ფენებიდან; ამასთანავე, საუკეთესო კოლმეურნენი, სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატიდან, დაწინაურებულ უნდა იქნენ სახელმძღვანელო მუშაობისათვის საბჭოთა მეურნეობებში და ღარიბებისა, საშუალო გლეხებისა და მოჯამაგირე, გლეხ და

კოლექტურნე-ქალების აქტიური ნაწილი—აგროჩრუნებულებად, აგრეთვე სასოფლო-სამეცნიერო კომიტეტისა და გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა კომიტეტებში მუშაობისათვის და სხვ.

33. ადგილობრივ კამპანიის ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის წინადადება მიეცეს საადგილმამულო ორგანოებს და სასოფლო-სამეცნიერო კომიტეტისა მოაწყონ ზოორგიუნებულებისა და აგროჩრუნებულების მომზადება და გადამზადება მოკლევადიანი კურსებისა და კონფერენციების ორგანიზაციისა და აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის ფართოდ გამოყენების საშუალებით. ა/შ აგვისტოში ჩატარებულ იქნეს აგრო-ჩრუნებულებისა და სასოფლო-სამეცნიერო საწარმოო თათბირების მთლად საქართველოში შემოწმება და პრემიის მიცემა იმათვის, ვინც მათ შორის საუკეთესო აღმოჩნდება.

34. ამავე დროს უნდა გაიშალოს განსაზოგადოებული სექტორის მიერ საწარმოო დამხმარების გაწევა ინდივიდუალურ, ღარიბ და საშუალო მეურნეობა-თათვის, რისთვისაც მუშაობა ბრიგადები, მანქანები და საწევი ძალა, თავისი თესვის დამთავრების შემდეგ, უნდა გაიგზავნონ სამუშაოდ ინდივიდუალურ მეურნეობათა მინდვრებში.

35. კოლექტიურ სექტორში წარმოებული საგაზაფხულო თესვის გამოცდილების სავსებით მხედველობაში მიღება; კოლექტიურ მეურნეობათა მეურნეობრივად გამავრება და ხელმძღვანელობის გაწევა კოლექტურნეობათა შემდგომი მშენებლობისათვის; საჭირო ყურადღების მიქევეა იმ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის, რომელიც ჯერ კიდევ კოლექტიურ მეურნეობებში არ შესულან, იმ ხაზით, რომ მათ წარმატებით შეასრულონ თესვის გეგმები; კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის დროს შეცდომებისა და გადახრების თავიდან აცილება; ბრძოლა კულაკობის კდასთან, რაც მიმართულია სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დასაბრკოლებლად,—ყოველივე ეს მოიხსოვს საბჭოთა, კომიტეტის უნდა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაქსიმალური ყურადღების შემოკრებას საშემოდგომო სას.-სამ. კამპანიის ჩატარების გარშემო. ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი მუშაობა საშემოდგომო სასოფლო-სამეცნიერო კამპანიის მნიშვნელობის განმარტებისათვის და აგროტენიკურ ღონისძიებათა პრობაგნდა, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს მასიური საგიტაციო ზეგავლენის ყოველგვარი საშუალება და პოლიტგანათლების ქვედა-ქსელის მობილიზაცია, რათა სას.-სამეცნიერო კამპანიას სათანადო კულტურულ-პოლიტიკური მომსახურეობა გაეწიოს.

საკიროა, რათა ქალაქებდ საბჭოთა, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავის ღროණზე მოახდინონ ირგანიზატორებისა, აგიტატორ-პროპაგანდისტებისა და სარემონტო ბრიგადების შერჩევა, მომზადება და ადგილობრივ გაგზავნა.

დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს ხელმძღვანელობის გაწევა საშემოდგომო სას.-სამეცნიერო კამპანიისათვის და ანგარიშების მოწყობა ათდღიურებად კამპანიის მომზადებისა და ჩატარების საქმის მსვლელობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალიბლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი 3. გეგრელიშვილი.

1930 ජූලියේ 17.  
උපුන්‍යයා—සාමාජිකයා.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 187 №-ში 1930 წ. აგვისტოს 12.

ମିତ୍ରାଧିକାର, № 1.198.

ტირაუი 1.100.